ნაციონალისტი

პარასკევი ოქტომბრის 8 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო №. 8 ფასი 10 მან.

მისამართი:
რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სახახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

ხელის მოწერა:
წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი
მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. ხტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე—15 მან. 3-4-გვერდზე—10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი—300 მან.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება; შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემსს“,

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამ ხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

მატყლის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგებას ნაწილის და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. . . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . 45 პროც.
3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

მომარაგების სამინისტრო.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა გაყიდვა

კერძო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4.000 მან.
ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ ზედმეტანი ხარჯები გაბერილად **არ** იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან **მატყლი თვით** მომხმარებელს **ეიყიდონ** და ნორმალურად **გაანაწილონ მატყლი** თვიანთ **რაიონში.**

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

გლეხთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—სასოფლო—საზოგადოებისა (აღგილ მამულის, ს ურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) დროზე დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიმართ.

ყოველგვარი ცნობები, შენიშვნა და სხვა ადასტურებ მიიღება თბილისში: „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. № 5

პროვინციელ დელეგატთა სურვილისამებრ პარტიის კონფერენცია გადაიდო და შესდგება 23 ოქტომბერს
(ძველი სტილით 10 ღვინობისთვეს)

საქართველოს

ნაციონალური პარტიის

პირველი

კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. სამაზრო მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. საერთო და საპარლამენტო არჩევნების სამზადისი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მაზრებს შორის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

პურის გასტანის ნეგარმთვა

მთავრობამ მოსმინა მომარაგების სამინისტროს მოხსენება და დადგინა:

1. ნება დართული იქნას რესპუბლიკის საზღვრებში პირადი საჭიროებისათვის ხუთი ფუთი ქერისა და ხორბლის გატანა. ის პირმა, რომელსაც სურს თავის მაზრიდან ხორბლის გამოტანა. ნებართვა უნდა აიღოს ერობიდან: ვისაც თავის ხორბალი არა აქვს, თუ სათანადო მოწმობა ექნება თავისუფლად შეუძლია მაზრის საზღვრებში იყიდოს ხორბალი.

2. ვინც ამ წესებს არ შეასრულებს და ისე მოინდომებს ხორბლის გამოტანას მას ხორბალი ჩამოერთმევა და თვით პასუხის გებაში მიეცემა.

3. ეს დადგენილება უნდა ეცნობოს ყველა ერობას.

ასეთია მთავრობის უკანასკნელი გარდაწყვეტილება, რომელსაც ყველა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად კმაყოფილებით გაიგებს.

ბაგრამ მიიღებენ თუ არა ამას კმაყოფილებით ის ორავალი წვრილფეხა და მსხვილფეხა მოხელეები **რომელთაც ხელშია** პროვინციაში **მთავრობის** განკარგულებათა ასრულება?

არა ერთი განკარგულება მთავრობისა გვინახავს ჩვენ შეუსრულებელი ან ბოროტად შესრულებული და განსაკუთრებით სწორედ სასურსათო დარგში.

არა ერთი განკარგულება გვინახავს ჩვენ აგრეთვე მეორე კვირაშივე შეცვლილი თვით მთავრობის მიერ.

საჭიროა ამიტომ რომ როგორც ევროპაში, მაგალითად ინგლისში, ჩვენშიც პურის საქმის შესახებ საზოგადო დებულებანი მინისტრებისა ან მთავრობის მაგიერ, პირდაპირ პარლამენტის, ე. ი. დამფუძნებელი კრების მიერ იქნას დამტკიცებული; მაშინ მათ, როგორც კანონს ყოველ კვირაში შვიდი პარასკევი ადარ ექნება.

გაზეთი „საქართველო“ და მოგარაგების სამინისტრო

„ერთობაში“ ვინმე „ენი“ სწერს „სამინისტრომ ევროპაში თაბაქოს და მატყლის სარეალიზაციოთ გაგზავნა ისეთი ხალხი, როგორიც არიან თვით „საქართველოსთან“ დაახლოებულნი პიროვნებანი, რომელთა ცოდნაში განსწავლაში თუ უნარში „საქართველოს“ ჯერეც კი არ ეპარება. ეს პიროვნებანი არიან: ა. მ. ხოშტარია, ა. ნ. ქავთარაძე, ტ. მარგველაშვილი და სხვანი. ამ ხალხს „საქართველო“ იცნობს, როგორც თავის საუკეთესო ამხანაგთ, ზოვი მათგანი ეროვნულ დემოკრატიული პარტიის კომსტეტების თავმჯდომარეთაც კი ყოფილან. მათ კომერციულ ნიჭზე, ცოდნაზე, უნარზე და განსწავლულ ეკონომისტობაზე არა ერთხელ გვსმენია ბევრი რამ თვით „საქართველოს“ ახლო მდგომ ხალხისაგან. და ახლა ვიკითხოთ, რა გააკეთეს მათ? როგორი რეალიზაცია უყვეს ჩვენს თაბაქოს და მატყლს?

ა. მ. ხოშტარიამ წაიღო 50,000 ფუთი თაბაქო და იმ დროს, როდესაც „კოოპერატივების ყოფილი ნოქრები“ სოხუმში ფუთ თაბაქოს ანაღდებენ 3—4 გირვანქა სტერლინგათ. ა. მ. ხოშტარიამ ინგლისში ჩატანილი თაბაქო 2—3 გირვანქა სტერლინგათაც კი ვერ გაანაღდა და ეს თაბაქო დღესაც საწყობებში აწყვია ინგლისში გაუნაღდებელი, მართლაც ახალ-ახალი ხარჯები ზედ ეკეცება და თაბაქოს ფასი კი ყოველ დღიურათ ეცემა. ამავე დროს კი ა. მ. ხოშტარია იტყობინებოდა,—ეგზავნებს და დიდძალ აეტო მობილებს ვიძენო; მაგრამ როგორც თვით მის მეგობრებს „საქართველოს“ მესვეურებს მოეხსენება, ა. მ. ხოშტარიას არც გემები და არც ავტომობილები დღემდე არ შეუძენია და თაბაქოც არ გაუნაღდებია.

თუ ვის გამოუჩენია მეტი ფხა ამ შემთხვევაში, ამის გადაწყვეტა თვით „საქართველოს“ მესვეურებისათვის მიგვინდვრია.

რა ქნეს ახლა სხვა ოქვენმა ამხანაგებმა,—ა. ლ, ქავთარაძემ. ტ. მარგველაშვილმა. მათ თქვენ ხომ კარგათ იცნობთ, როგორც ცნობილ კომერსანტებს? თვით მათ შეეკითხეთ და გიპასუხონ ამ კითხვაზე. როგორ გაანაღდეს სამინისტროდან წაღებული 24,000 ფუთი თაბაქო და მატყლი და ინგლისში ჩატანილი? მათ ინგლისში ჩაზიდული საქონელი 1 ნახ.—2 გირვ. სტერლინგათაც კი ვერ გაანაღდეს და ეს იმ დროს როდესაც გაცილებით მეტი ფასები იყო, ვიდრე ამ ჟამათ არის. მთელი თვვენი თაბაქო დაწყობილი ჰქონდათ საწყობებში. ვერაფერი მოუხერხეს და რამოდენიმე თვის შემდეგ უკან ნაბობრძანდნენ. ჰკითხეთ მათ, თუ გამოუცდელი ვრაძე 3—4 გირვანქათ სოხუმში თაბაქოს ანაღდებდა, რათ მოუვიდათ ისეთ კომერსანტ-ეკონომისტებს, როგორიც ბრძანდებიან თქვენი ამხანაგები—ა. ლ. ქავთარაძე და ტიტე მარგველაშვილი, რომ ინგლისში ჩაზიდული საქონელი 2 გირვანქა სტერლინგათაც კი ვერ გაანაღდეს? ჰკითხეთ ამის მიზეზები ტ. მარგველაშვილს და ა. ქავთარაძეს და თუ ისინი არ გიპასუხებენ, მაშინ ჩვენ მოგართმევთ იმ მოხსენების პირს, რომელიც წარმოდგენილი აქვს ტ. მარგველაშვილს მომარაგების მინისტრისადმი. ეგების ამ მოხსენებამ ბევრი ვინმე გააწითლოს?“

პრესა.

ნოე ჟორდანიას ცირკულიარის გამო

„სახალხო საქმე“ სწერს:

იმ გარემოებამ, რომ ნ. ჟორდანიას ბრძანებამ საერთო კმაყოფილება გამოიწვია, ხელი არ უნდა შეგვიშალოს აღვნიშნოთ ზოგიერთი ცუდი პრეცედენტი, უფლების გადამეტება, რაიცა კანონდება ბ. ჟორდანიას ამ ბრძანებით. რა უყოთ, რომ ამ შემთხვევაში კარგსა და სიმპატიურ საქმეში ჩაიდინა ბ. ნ. ჟორდანიამ ეს გადამეტება და შეჰქმნა არა სასურველი პრეცენდენტი. შესაძლებელია ხვალ ცუდ საქმეში გამოიყენოს იგი და თანაც საზოგადოებრივი მსჯავრი მოიყვანოს მოწმედ თავის მოქმედების გასამართლებლად. ამიტომ შეუძლებელია დუმილით გვერდი აუაროთ ბ. ჟორდანიას ბრძანების კონსტიტუციურ მხარეს.

ნ. ჟორდანიას ბრძანებაში ნათქვამია: „გამოეცხადოს საყვედური თბილისის ქალაქის გამგეობას, რომლის ხელშია პურის დაფქვის და გამოცხობის საქმე ასეთი „ომაგალითო დაუდევრობისათვის“ როგორც მკითხველი ხედავს, აქ ბ. ჟორდანია ფაქტს აღნიშვნას კი არ ჰკმაყოფილდება, რომელიც რევიზიის მასალამ მისცა მას ხელთ, არამედ კვალიფიკაციასაც უკეთებს ფაქტს („უმაგალითო დაუდევრობა), და მსჯავრიც გამოაქვს (საყვედური). აქ უეჭველად მიუდგისებია ბ. მთავრობის თავჯდომარის მიერ სამართლოს ფუნქციებისა. არ შეიძლება ასე ანაზდეულად ზემოდან შეჭრა მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში და „საყვედურების“ გამოცხადება. ნოე ჟორდანიას შეეძლო თანახმად იმ მასალისა, რომელიც მის ხელ იყო, პასუხისგებაში მიეცა გამგეობა და შემდეგ სასამართლო გამოარკვევდა, „უმაგალითო დაუდევრობა“ თუ პირდაპირ დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის კანონთა კოდექსით ისჯება, ან და იქნებ სულაც არ ჰქონდა ადგილი არამც თუ „უმაგალითო“, არამედ უბრალო „დაუდევრობასაც“. ეს ერთი.

მეორე ის, იქნებ „საყვედურის“ გამოთქმა ძალიან იოლი დასჯაა და უფრო მეტის ღირსი იყო, ან და შესაძლოა იქნებ სულაც დაუმსახურებელი მსჯავრია ეს საყვედურიც.

მაგრამ მთავრობის თავმჯდომარე აქ უეჭველია მოიშველიებს იმ ფორმულას, რომლითაც იგი დამფუძნებელმა კრებამ აღჭურვა „მართვა-გამგეობის საქმეში განსაკუთრებულის უფლებებით“.

მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამ ფორმულის ძალით შეიძლება გამართლებულ იქნა, მთავრობის თავმჯდომარის ყოველივე ნაბიჯი, თუნდაც იგი არღვევდეს ყველა არსებულ კანონს „მართვა-გამგეობის საქმეში“, რადგანაც არ არსებობს ამ „განსაკუთრებულ უფლებათა“ კონკურენტიზაცია. როგორც ვიცით, ეს ფორმულა მენშევიკურმა პარტიამ კოალიციანდით გააპარა, წინადადების სახით, „გარეშე მჯელობისა“...

ქრონიკა.

სასოფლო იარაღები

მიწად მოქმედების სამინისტროს გერმანიიდან და საფრანგეთიდან მიიღო სასოფლო-საბეურნეო იარაღების ერთი პარტია. განსაკუთრებით მებაღეობისა და მევენახეობისათვის საჭირო. ამ იარაღების ყიდვა შეიძლება მიწად-მოქმედების სამინისტროს მუშტაიდას საწყობში.

ინგლისის კომისარი

ბრიტანიის უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიაში 6 ღვინობისთვეს ერევნიდან თბილისს დაბრუნდა.

დენატურატი ხომხეთისათვის

მთავრობის წინადადებით, ექსპლოატაციის უფროსმა გ. აბელიშვილმა განკარგულება გასცა ალექსანდროპოლში სასურაფო მატარებლის გაგზავნის შესახებ დენატურატით.

ასოთ-აწყობთა შორის

5 ოქტ. ბეჭდვითი საქმის წარმომადგენლები იქნენ მიწვეულნი ბეჭდვითი საქმის კავშირის გამგეობაში აღდგომის წინედ მუშებისთვის გაცემულ სესხის საკითხის გასარჩევათ. კავშირის გამგეობამ წინადადებით მიჰმართა სტამბის პატრონებს, რომ ეს სესხი, რომელიც მიეცა კავშირის წინადადებით დღემდე არ არის გასწორებული, მუშებს დახმარებად ჩაეთვალოთ, რადგან მისი გადახდა დღეს მუშებისათვის შეუძლებელია.

კავშირის წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

რევიზია

ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება დამფუძნებელ-კრების წევრი ერ. კალაძე. მას დამფ. კრების სამხ. კომისიიდან მინდობილი აქვს მოახდინოს რევიზია ქუთაისის გარნიზონში. იგი უკვე შეუდგა. რევიზიის შედეგზე შემდეგ ნომერში გვექმენა ცნობა.

ღალის საქმე

ეროობის გამგეობამ დაამტკიცა საადგილმამულო ფონდის გამგის მიერ წარმოდგენილი შემდეგი პროექტი მიმდინარე წლის ღალის აკრეფის საქმის ორგანიზაციისა: საფონდო მიწის მოიჯარადრისაგან ღალა იღება ფულათ. ამ მიზნით საფონდო მიწები იყოფა 3 ხარისხად. 1 ხარისხათ იგულისხმება ის მიწები, რომლის ერთ ქცევაზე მოვა 30 ფ. სიმინდი, მე-2 ხარისხათ ისეთები, რომელზედაც მოვა 20 ფ. სიმინდი. და მესამეთ—რომელზედაც მოვა 10 ფუთი სიმინდი. მოიჯარადრენი იხდიან პირველ ხარისხის ერთ ქცევა მიწაზე ღალათ—900 მ., მეორეზე—600 მან. და მესამეზე—300 მან. თემების გამგეობებს ევალებათ გასული წლის მოიჯარადრეთა სიების შესწორება საავერარიო კომისიებთან ერთად. თვითეულ საავერარიო კომისიაში ენიშნება ერთი მეველე 2 თვით; მეველეს მოვალეობას შეადგენს ფულების აკრება; ფონდის გამგეს თან დროებით (3 თვით) ინიშნება აგრეთვე ერთი საქმის მწარმოებელი, ამ ორგანიზაციისათვის საჭირო თანხა იხარჯება ფონდის გამგის მიერ მთავრობის კრედიტიდან.

სასურავი მატარებლები

№ 5 და № 6, რომლებიც ბათომ-თბილისს შუა დიდიოდა დღეიდან გაუქმებულია.

— სამგზავრო მატარებლების ორთქლმავლებს დღეიდან ტყიბულის ნახშირით გაათბობენ.

მასწავლებელთა შორის

როგორც დეპეშით გვატყობინებენ, სექტემბრის 29-ს სენაკის მაზრის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობას დაუდგენია: წარედგინოს ხათანადო მთავრობას ძთავარი ბიუროს საშუალებით კატეგორიული მოთხოვნილება, რათა მასწავლებლობა ოქტომბრის 30-დე უბრუნველყოფილი იქმნეს სურსათ-სანოვაგით, ანუ ჯამაგირზე 200 პროცენტის ზომატებით სექტემბრის 20 წინაღმდეგ შემთხვევაში დელეგატთა ყრილობა პრინციპიალურად მომხრეა გაფიცვისა, რაიცა უნდა მოხდეს ბიუროს ინიციატივით მთელი რესპუბლიკის ფარგლებში.

შეცდომის გასწორება

გ. ლეონიძის გუშინდელ წერილში: „ქართული წიგნი“ შემდეგი შეცდომაა: 2 სვეტ. ქვ. 6 სტრ. ...„ღია და წითელ ქალაღდზე“ უნდა იყოს: „ღია ნათელი და სხ.

უკანასკნელი ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხური ცნობით 5 და 6, ოქტომბერს ოსმალებთან მცირე შეტაკებანი ქონდათ.

— —

გენერალ ფოსტიკოვს ადლერიდან ბოლშევიკები გაურეკია.

ადლერში მისულა აგრეთვე ვრანგელის ახალი დესანტი.

— —

ბოლშევიკები თანხმდებიან წითელი ჯარის ნაწილის შრომის არმიად გარდაქმნას.

— —

ადერბეიჯანში მყოფი 11 არმიის ხარდალი ლევანდოვსკი გადაუყენებიათ

— —

ენვერ ფაშა მოსკოვში გაემგზავრა.

შრომის საკითხი

შრომის მინისტრის ამხანაგმა ბახტაძემ პროფესიონალურ კავშირის კრებაზე განაცხადა, რომ ვერც ტარიფის მოპატებას, ვერც მუშებისთვის ერთდროულად დახმარებას, ვერც სხვა დეკრეტებს ვერ ძალუძთ გააუმჯობესონ მშრომელთა ნივთიერი მდგომარეობა და საერთოდ მათ არ შეუძლიანთ დასძლიონ ის ეკონომიური დაბრკოლებანი, რომელთაც დღეს საქართველო განიცდის. მისი აზრით, „მხოლოდ დროის ეკონომიისა და ძალიმალური დაჭიმვით შეიძლება მოვაწესრიგოთ დაშლილი ეკონომიური ცხოვრება". ერთად ერთ გამოსავალად უნდა ჩაითვალოს შრომის ინტენსიფიკაცია და წარმოების გადიდება გინდაც სამუშაო საათების გადიდებით.

სხვა მუშა-ორატორებიც თავის ლაპარაკში ამ თვალსაზრისს იზიარებდნენ.

თამგაკოს მონოპოლია და აფხაზეთი

ამას წინედ სოხუმში შეკრებილ ქალაქების და ერობათა ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია თამბაქოს მრეწველობას აფხაზეთში თამბაქოზე სახელმწიფოებრივ მონოპოლიის შემოღებას გამო.

მთელი მოხსენებებისა და ცნობების შემდეგ სხვა და სხვა ადგილებიდან, ყრილობამ მიიღო ამის გამო ვრცელი რეზოლიუცია, რომელიც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო, მოგვყავს სრულიად:

„მოისმინა რა მოხსენება მეთამბაქოებზე და სათამბაქო მონოპოლიაზე აფხაზეთში, და ყველა ცნობები ბლანტატორების ერობების და ქალაქთა კავშირების წარმომადგენლების, აფხაზეთის ქალაქთა და ერობების ყრილობა დასძენს. რომ მონოპოლია საყალიუტო საქონელზე, არა თუ მისაღებია, უსათუოც არის და მიზანშეწონილიც; თუმცა, ყრილობას არ ძალუძს არ აღნიშნოს მთელი რიგი შეცდომებისა და დეფექტებისა მონოპოლიის გატარებაში, როგორც: 1, უქონლობა კარგად მოწყობილ სამონოპოლიო აპარატისა და თამბაქოს შექმნის გეგმისა; 2) ყრილობის აზრით, მონოპოლიის გატარებაში არ არიან მიწვეულნი სპეციალისტი მეთამბაქოენი, რომელნიც თამბაქოს საზღვარგარეთის ბაზრებს იცნობენ; 3) უკანასკნელ ხანებში, მონოპოლიის გატარებასთან ერთად, ნებართვები ეძლევათ ცალკე პირებს თამბაქოს საზღვარ გარედ გასატანად, რაც არღვევს მონოპოლიის იდეას და ჰქმნის კერძო სარგებლობის პირობებს. 4) მწარმოებლებს არ მიეცათ დროზე სესხი, რომ საჭირო მასალა შეეძინათ მეთამბაქოობისათვის.

ყველა ზემო აღნიშნულმა დეფექტებმა და შეცდომებმა და ამ ნიადაგზე აღმოცენებულ აგიტაციამ მონოპოლის წინააღმდეგ, დასცეს თამბაქოს კულტურა მთელს კუთხეში.

საგლეხო ბანკის მიწოგის საკითხი

„სოფლის მუშაში" დაბეჭდილია შემდეგი:

შ ე კ ი თ ხ ვ ა.

„ჩვენს თემში, როგორც ადგილობრივ, ისე სხვა და სხვა თემებში, გლეხებს შეძენილი აქვთ საგლეხო ბანკიდან სასყანე მიწები, რომელსაც ნაწილ-ნაწილად იხდიდენ საგლეხო ბანკში, ხოლო ასეთი მიწების გამოსყიდვა საბოლოოდ ვერ იქნა მოხრულებული თებერვლის რევოლიუციამდე. ფულების შეტანა საგლეხო ბანკში შეჩერებული იქნა ხალხისაგან, ვინაიდან ხალხს პირდებოდენ, რომ ასეთი მიწები მიუხედავათ იმისა, რომ მიწები საბოლოოთ გამოსყიდული არ იყო დარჩებოდათ გლეხებს საკუთრებათ.

დღეს კი, ერთის მხრით საგლეხო ბანკი თხოულობს ანგარიშის გასწორებას, რომელსაც ხელს უწყობს ოზურგეთის სამაზრო ადმინისტრაცია და მეორეს მხრით სამაზრო საგრარიო კომისია და სამაზრო ერობა ხალხს ეუბნება, რომ ასეთი მიწები რომლებიც საბოლოოთ გამოსყიდული არ არის ბანკებიდან, გადარიცხულია სახელმწიფო ფონდში (იხილე „ზურის ერობის მოამბე" № 14) რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში. გთხოვთ გარკვეულათ გვიბასუხოთ რომელი განკარგულება უნდა მიიღოს სოფლის მეყანე მუშებმა, სამაზრო ერობის, თუ საგლეხო ბანკის. და თუ საგლეხო ბანკიდან ნაყიდი მიწები ულმოლესმა დაწესებულებამ ფონდში გადარიცხა, რა მოსაზრებით მოხდა ეს.

ბაკ. ჭანტურია.

სად. სუფსა.

პ ა ს უ ხ ი.

ფორმალური თვალსაზრისით საგლეხო ბანკიდან საბოლოოდ გამოუსყიდელი მიწები ამ ბანკისავე საკუთრებათ უნდა ჩაითვალოს და სავსებით უნდა გადარიცხულ იქნეს ფონდში, ვინაიდან ბანკს, როგორც იურიდიულ პირს, ნორმა-კანონით, არ დაეტოვება ასეთი დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ გლეხებს რევოლიუციის დაწყებამდე (სადგილმამულო კანონების გამოცემამდე) ბანკისაგან მიწის ნაკეთები სავსებით ვერ გამოუყიდიათ და არც კანონიერი საკუთრების სიბუთი; სიმტკიცის სიგელი, მიუღიათ.

მაგრამ არსებითად თუ შეეხებით საკითხს, იქ გლეხების სასარგებლოთ უნდა იქნეს გადაჭრილი შემდეგი მოსაზრებით:

1) გლეხებს ბანკის ვალი რევოლიუციის დაწყებამდე ვერ გადაუხდიათ არა იმიტომ, რომ ეს არ მოუსურვეს, არამედ იმიტომ, რომ ასეთი იყო ბანკთან დადებული ხელშეკრულება, მათ ვალი ნაწილ-ნაწილ უნდა გადაეხადათ, რასაც კიდევაც ასრულებდენ:

2) ბევრ მიწის შემძენთაგან ვალის დიდი ნაწილი გადახდილი აქვს ბანკისათვის, ზოგს—კი სავსებით გასტუმრებული აქვს ეს ვალი.

3) დღიდან ბანკთან ხელშეკრულების დადებისა, გლეხებს საკუთრებათ აქვთ მიზომილი ხეეღრი მიწის ნაკვეთები, შიგ არიან ჩამდგარი და ამუშავებენ; ესე იგი რამოდენიმე წლის განმავლობაში ამ მიწის ფაქტიური მფლობლები არიან.

4) თუ მხედველობაში მიიღებთ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ გამოსასყიდ მიწებს პირველ მესაკუთრეებს, ყოფილ მემამულეებს, ამ მიწების ღირებულება სავსებით მიღებული აქვთ ბანკისაგან და გლეხებისაგან საბოლოოდ გამოსყიდვამდე მიწები (გლეხების კუთვნილი) მხოლოდ გირაოთ ირიცხება ბანკში, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ საგლეხო ბანკისაგან წინასწარი ნასყიდობით შეძენილი ნამული გლეხებს საკუთრებათ უნდა დარჩეს დაწესებული ნორმის ფარგლებში და მათ ნება უნდა მიეცეთ როგორც ბანკის ხეეღრი ვალის გაქრობისა, ისე სიმტკიცის სიგელის თავის სახელზე გაკეთებისა. თუ ასეთი მიწები უკვე ფონდშია გადასული შუამდგომლობა უნდა აღიძრას მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ ამოირიცხოს ფონდიდან.

შესაძლებელია აგრეთვე მეორე გამოსავალიც. თუ მიწები უკვე ფონდშია გადარიცხული, ბანკისაგან შემძენ გლეხებს, როგორც ფაქტიურ მფლობელებს, მიეცით ნება შეიძინონ ფონდიდან ეს მიწები და მათ ჩაეთვალოს გადახდილათ ის თანხა, რომელიც უკვე შეტანილი აქვთ საგლეხო ბანკში.

ცნობისათვის დავსძენთ, რომ სწორედ ამ სადაო საკითხის გამოსარკვევათ ოზურგეთის სამაზრო ერობამ დებეშით შეკითხვა მისცა მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომელიც ამ დღეებში გადაჭრილ დასაბუთებულ პასუხს გაუგზავნის მას და ამ პასუხის მიხედვით გადაიჭრება პრაქტიკულათ აღძრული სადაო საკითხიც.

კორესპონდენცია ქ. სურამიდან

წითელი ჯვრის ბავშთა თავშესაფარი

ენკენისთვის 26, დაბა სურამში ყოფნის დროს შემთხვევით მოვხვდი წითელი ჯვრის თავშესაფარში. ამასთანავე თავშესაფარი ამ ერთი წლის წინათ მინახავს ბაქოში.

ერთად-ერთი შთაბეჭდილება, რომელიც გამოვიტანე იქიდან იყო ის, რომ ბავშვებისთვის, რალაც სახელმწიფოებრივი ბოროტმოქმედებისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ, ჩაემწყვდიეთ სატუსაღოში და სასჯელი სიბინძურით ხიცივით და სიმშილით მოჰყავდათ აღსრულებაში.

სიმშილით გადაყვიოლებული ტიტველა ბავშვები დალასლასებდნენ ეზოში და მათ ნაღვლიან თვალებზე უსიტყვო საყვედური გამოჰკრთოდა, თითქოს გეუბნებოდნენ „რა დავაშავეთ? რისთვის გადაგვიწყვიტეთ ამისთანა საშინელი სასჯელი?"

ასეთი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზედ ამ სანახაობამ.

უნდა სიმართლე მოგახსენოთ, რომ როცა მიხვრეს აქ (სურამში) ბავშთა თავშესაფარი არისო თვალწინ წარმომიდგა ბაქოს თავშესაფარი და ვიფიქრე, ნუ თუ ჩემს სამშობლოშიც მოიძოვება იმგვარი საშინელი ბავშთა სასაფლაო, „ქრისტეს ჭოქმედო მიზნით?!

ცნობის მოყვარეობამ დამძლია და წაველ თავშესაფარისკენ. 2—3 ვერსით ვიყავით გაკილებულნი დ. სურამს, რომ გზის მარცხენა მხრიდან, ბალიდან მოგვესმა ბავშების სიმღერა, მღეროდნენ „თებრონე მიდის წყალზე"-ო. ჩვენც, ამ სიმღერის ხმაზედ შევუხვიეთ ბაღში და თვალწინ წარმოგვიდგა შემდეგი სურათი: ორმოცამდე ბავშს ჩაეცვათ ფერხული, ჩვენ მიახლოებასთან ერთად ბავშვებმა სიმღერის ტემპს მოუჩქარეს, დაჰკრეს ტაში, წრეში გამოჩნდა 4—5 წლის ბიჭუნა და თამამად ლეკური ჩაშოუარა.

ბავშვებმა უცბად შესწყვიტეს სიმღერა. მოცეკვავე დარჩა სახტად, შერცხვა, თავჩაღუნული გაექანა წრიდან, მაგრამ გზაზედ გადაეღობა ხნიერი მანდილოსანი, დასტაცა ბავშს ხელი, ჯერ მაღლა შეათამაშა შერე ჩაიკრა გულში და დაჰკოცნა.

მეგობარმა განცვიფრება შემატყო და ამიხსნა, აი ეს არის თავშესაფარი, ეგ მანდილოსანი, თ. სუმბათაშვილისა, ის თავშესაფარის გამგე და დიასახლისი.

ჩვენ მივესალმენით ქ-ნ სუმბათაშვილისას და რა გაიგო უკანასკნელმა ჩვენი მისვლის მიზეზი თავაზიანად მიგვიწვია თავშესაფრის დასათვალიერებლად.

სუფთად ფართო საზაფხულო შენობა, ბავშვებისთვის სუფთა საწოლები, უბრალო ნაგრამ სუფთა ჩაცმულობა მოწმობს მას, რომ თავშესაფარში ჰიკიენის მტრულად არ უცქერიან, რასაც სამწუხაროდ სხვა დაწესებულებებში და საზოგადოთ ჩვენ ცხოვრებაში იშვიათად შეჰხვდებით.

აი ბავშვების სამუშაო ოთახიც, და თქვენ თვალწინ იშლება მთელი სერია ბავშვების ხელსაქმისა, ფერადი ძაფებით, ლამაზად ნაკერი ცხვირსახოცები, პირსახოცები და სხვ. და სულ ბოლოს ამაყად გიჩვენებენ, ბავშვების ხელით ნაქსოვ ხალიჩას,

ქ-ნი სუმბათაშვილისა გვატყობს განცვიფრებას და გამარჯვებული იღიმება.

ჩვენ ბევრი რამ გვაკლია—ხჩივის ქ-ნი სუმბათაშვილისა, ეაგრამ შეძლებისდაგვარად ჩვენ თითონ გავსებთ ნაკლულს, თქვენ წარმოიდგინეთ მელანსაც ჩვენ ვაკეთებთ ყაყაჩოს ფოთლებისგან.

ესინჯავთ მელანს—მშვენიერად სწერს.

თავშესაფარში 60 ორივე სქესის ბავშია 4—13 წლამდის, სულ ახალ ქალაქის და ახალციხის მაზრის ლტოლვილები. მშვენივრად გამოიცქირებიან ბავშვები, ეტყობათ საზრდო საკმაოდ ეძლევათ და სურამის ჰავა ხომ უპირველესი ფაქტორია ჯანმრთელობისა.

„ეს ათი დღეა, რაც ახალი სამეურნეო ნაწილის გამგე დაგვინიშნეს—გვიამბობს ქ-ნი სუმბათაშვი-

ლისა, და ჩვენი საზრდოობის საქმეც გამოსწორდა, თორემ ექვსი თვეა ბავშვებს ხორცი თვალით არ უნახავთ".

თუმცა სამეურნეო განყოფილების გამგე ო. უნაფქოშვილი სულ ათი დღეა რაც ასრულებს თანამდებობას, მაგრამ თავის ენერგიით და მზრუნველობით თავშესაფარში საზოგადო სიყვარული დაუმსახურებია

როგორ არის სწავლა განათლების საქმე თავშესაფარში? ვეკითხები გამგეს.

წარსულ ზამთარში გვყავდა მასწავლებელი ქ-ნი ლვინიაშვილი, რომელიც აიყვარულით ეკიდებოდა საქმეს, მაგრამ წელს იგი უნივერსიტეტში შევიდა სასწავლებლად და ახალი მასწავლებლის შოვნა გაძნელდება, ზამთრისა ეშინიანთ, შენობები საზაფხულო გვაქვს და საშინლათ ცივა.

— თქვენ როგორლა სძლებთ ზამთარში?

— საშინლად ვიტანჯებით. წითელი ჯვრის მთავარი გამგეობა შარშან გვპირდებოდა ზამთრობით თბილისში გადაყვანას, მაგრამ დაპირება-დაპირებად დარჩა და ჩვენ-კი აქ საშინელი სიცივე გამოვიარეთ. წელსაც გვპირდებიან თბილისში გადაყვანას და იმედი მაქვს წელს მაინც ვიმუშაოთ ნორმალურად.—

მართლაც, თავშესაფარის შენობა ზაფხულისთვის ჩინებულია, ზამთარში-კი ცხოვრება წარმოუდგენელია. ამასთანავე ერთად თავშესაფარის მეზობლად იყოფება წითელი ჯვრის პსიხიატრული განყოფილება, და ჩემის აზრით, ბავშვებისთვის ამგვარი მეზობლობა ფრიად მავნეა.

იმედი გვაქვს მომავალ ზამთრისთვის წითელი ჯვრის მთავარი გამგეობა დაპირებიდან გადავა საქმეზედ და თავშესაფარს გადმოიტანენ თბილისში და ამით აიცილებენ ბავშვებს სიცივეს და არა სასურველ მეზობლობას.

შენობის დათვალიერების შემდეგ, ქ-ნმა სუმბათაშვილისამ ბავშვებს ლექსები წააკითხა, ეტყობა მასწავლებელს ქ-ნ ლვინიაშვილს დრო ცუდად არ დაუკარგავს, ბავშვები ლამაზად კითხულობენ ლექსები.

ვერ აგიწერთ ჩემს აღტაცებას როცა 4—5 წლის ბიჭუნამ დარბაისლურად, გულზე ხელის მიდებით დაიწყო: „მე ქართველი ვარ, ჩემი სამშობლო ოლ ზღვა შუა გადაჭიმული".

დიდი მადლობის ღირსია თ-დი სუმბათაშვილისა, რომელიც ასე თავდადებით და სიყვარულით აუტანელ პირობებში აწარმოებს ამ საქმეს.

როგორც ეტყობა ბავშვებსაც უყვართ თავიანთი მზრუნველი, რომელსაც „დედას" უძახიან და ეს სიყვარული დამსახურებული საჩუქარია ღვთისნიერ ადამიანისთვის.

მადლობის ღირსნი არიან ქ-ნ სუმბათაშვილის თანაშემწე მოწყალების და ნ—ვ. პარმაკსიზოვისა და საშეურნეო განყოფილების გამგე, ოთარ უნაფქოშვილი, რომელნიც შეგნებულად და სიყვარულიანად ეკიდებიან საქმეს, რითაც საბრალო ბავშვებს უადვილებენ უმშობლოდ ტანჯვას და ცხოვრებას.

ვავლით ვინახულეთ პსიხიატრიული განყოფილება. იქაც ისეთი სისუფთავე და წეს-რიგი...

სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს განყოფილების ექიმი ვ. მარქარიანი თავის ტკბილი საუბარით ავადმყოფებთან.

ექიმი მარქარიანიც სჩივის ზამთარზე.

იმედი გვაქვს წითელი ჯვრის მთავარი გამგეობა მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას და შესაფერ ღონისძიებასაც მიიღებს.

ა. კარგარეთელი.

ქუთაისის საარქიონერო საზოგადოების კრება

კრება გახსნა 1920 წელს 12 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე საზოგადოების საორგანიზაციო გამგეობის თავმჯდომარე დ. თოფურიძემ.

კრებაზე გამოცხადდა 26 აქციონერი. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 16.264.000 მანეთის ღირებულების აქცია ეკუთვნის იმ აქციონერებს, რომელთაგან საზოგადოების საჭიროებისათვის ამ საზოგადოების დამფუძნებელი წევრების დადგენილებით) სხვა და სხვა ქონებაა შეძენილი, დანარჩენი 13.736 აქც. 13.763.000 მანეთის ღირებულების ნაღდ ფულზე არის შეძენილი აქციონერების მიერ ამ ცნობების მიღების შემდეგ საზოგადოების წესდების 55 მუხლის ძალით თავმჯდომარე აქციონერთა პირველი საზოგადო კრება გამოაცხადა კანონიერად და კრების გასაძღოლად ითხოვა თავმჯდომარის და მდივნის არჩევა. კრებამ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია დ. ა. თოფურიძე, მდივნად კი ი. ბახტაძე.

პირველად თავმჯდომარემ მოახსენა კრებას ვისგან და რა პირობებში შეიძინა საორგანიზაციო გამგეობამ საზოგადო ბისათვის სხვა და სხვა მოწყობილობანი და მანქანები.

კრებამ საორგანიზაციო გამგეობის მიერ საათანადო აქტებით შეძენილი ქონება მიზან შეწონილად და მისაღებად იცნო.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ აქციონერი გააცნო ტყის საქმის და საქსოვ-საფეიქრო მექანიკური ქარხნების მოწყობის საკითხი ამ საქმეების მოსაგვარებლად ითხოვა 1) ნება დართოს კრებამ გამგეობას: საბჭოს დასტურით შეიძინოს უძრავი მამულები და მოაწყოს ქარხნები;

2) წესდებით განსაზღვრული ძირითადი თანხის განაღდებისას კრებამ ნება დართო გამგეობას საბჭოს დასტურით და მთავრობამ საათანადო ნებართვით ეს თანხა ას ოც მილიონამდე გაადიდოს;

3) გამგეობას ნება მიეცეს საბჭოს დასტურით საზოგადოებაში მოიწვიოს მოსამსახურე პირები, განსაზღვროს ამათი მისაცემი ჯილდო და გასწიოს ყოველგვარი საზოგადოების საქმეებით გამოწვეული ხარჯები პირობით არა უგვიანეს 1921 წლის 1 იანვრისა წარედგინოს საზოგადო კრებას წლიური ხარჯთაღრიცხვის გეგმა და საათანადო ინსტრუქციები, როგორც გამგეობისათვის აგრეთვე საბჭოსათვის;

4) უფლება მიეცეს გამგეობას საათანადო შუამდგომლობით მიმართოს ფინანსთა მინისტრს წეცვლილ იქნეს წესდების მე-40 მუხლის იმ წესით, რომ საავჭრო საქონლის ყიდვა-გაყიდვის და დაგირავების უფლება გამგეობას მიენიჭოს საბჭოს დაუდასტურებლად.

კრებამ იქონია ამ წინადადებებზე ხანგრძლივი მსჯელობა და ყველა ისინი ერთხმად იცნო მიზანშეწონილად და მისაღებად.

ამის შემდეგ კრება გადავიდა გამგეობის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრთა რიცხვის და მათი შრომის ჯილდოს რაოდენობის განსაზღვრაზე და დაადგინა: შესდგეს გამგეობა ხუთი და საბჭო თვრამეტი კაცისგან; დაინიშნოს თვეში ჯამაგირი გამგეობის თავმჯდომარეს სამოცი ათასი (60.000) მანეთითო გამგეობის წევრს ორმოცდა ათი ათასი (50.000) მანეთი; საბჭოს თავმჯდომარეს ორმის ჯილდოთ თვიურათ მიეცეს 15.000 მანეთი; საბჭოს თითეულ წევრს შრომის ჯილდოთ თითო კრებაზე დასწრებისათვის ხუთასი (500) მანეთი; დამატებით ქუთაისის ქალაქის გარეშე მცხოვრებ საბჭოს წევრთ მიეცეს ფაქტიურად გაწეული სამგზავრო სხვა და სხვა ხარჯები. მთელ შემადგენლობას წლიურად დაენიშნოს 250.000 მანეთი.

ჯერჯერობით თავისუფალი დარჩეს გამგეობაში ერთი და საბჭოში ორი ევრის ადგილი რაჭის მაზრის წარმომადგენელი.

ამის შემდეგ კრება გადავიდა გამგეობის საბჭოს, სარევიზიო კომისიის და მათ კანდიდატების არჩევნებზე.

გამგეობაში არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარეთ დ. ა. თოფურიძე; გამგეობის წევრებად ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ი. ი. პურადაშვილი და კ. ყ. დათეშიძე.

კანდიდატებათ: ა. ჯაფარიძე, გ. ტუსკია და გ. სვანიძე.

საბჭოში: ლ. გრიგოლია, ლ. შენგელია, ა. ემუხვარი, პ. გოთუა, იტალიური კავკასიური ბანკის მართველი პინტო, მ. ლალიძე, ი. საბახტარიშვილი, მ. ფიჩხაძე, ვ. ლეფაელოვი, გ. საბახტარიშვილი, ნ. საბაევი, გ. ქავთარაძე, ა. ელგულაშვილი, რაიხერი, ს. ჭანტურიშვილი და ვარაზიშვილი.

სარევიზიო კომისიაში: ს. ჭედია, ტ. ჯაფარიძე, ა. მეფისაშვილი, გ. ცინცაძე და მოქ. ბრეგვაძე.

სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატებათ კი: ა. ჯაყელი, შ. კურდღელაშვილი და შ. იაკობიშვილი.

ს. რ.

საზღვარგარეთ

ლატვიის დამფუძნებელი კრება.

1-ლ მაისს რიგაში გაიხსნა ლატვიის დამფუძნებელი კრება. იგი შესდგება 150 წევრისაგან, რომელნიც უმეტესად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიებს ეკუთვნიან. 150 დეპუტატზე სულ 57 სოციალისტია. კომუნისტებმა, რომელნიც არჩევნებში სოციალ-რევოლიუციონერების სახელით გავიდნენ, სულ რამდენიმე ხმა მიიღეს და ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაიყვანეს. დიდი გავლენით სარგებლობს გლეხთა კავშირი, რომელსაც ეკუთვნის უმეტესი რიცხვი მინისტრებისა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეების. აგრარული საკითხი ყველაზე მძიმე საკითხია ლატვიის შინაგანი პოლიტიკის. სახელმწიფოებრივ ანკეტამ გამოაშკარავნა, რომ მიწების დაყოფა ისეც შეიძლება, რომ საშუალო მეს კუთრენი არ დაზარალდნენ. სიმაგიეროთ არახასურველ მდგომარეობაშია მრეწველობა. 1915 წ. რიგიდან შიდა რუსეთში გაზიდეს სამრეწველო მანქანები და ფაბრიკები. თუ ნაწილი მაინც დაბრუნდა ამ მანქანებისა, მრეწველობა კვლავ აღორძინდება, სანამდე კი აქ ვითარდება ტყის, მინის და ქალალდის მრეწველობა.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი

სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელი ქ., 3

კორესპოდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მულმიელთ აწყობდიან რედაქციას წერილებს ჰაროდენციის (ფოფოლოვი და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი

კორესპოდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების, ფაქტების შესახებ.

მატარებლების მიმოსვლა

თბილისიდან მიდის		
ბორჯომამდის	№ 17	7. 52
ბორჯომში ჩადის		2. 03
ფოთამდის	№ 3	9. 56
ფოთში ჩადის		10. 20
ბორჯომამდის	№ 19	2. 30
ბორჯომში ჩადის		8. 00
ბათუმამდის	№ 17	8. 00
ბათუმში ჩადის		9. 00
ბათუმამდის ჩქარი	№ 3	11. 44
ბათუმში ჩადის		11. 27
[illegible]მდის		8. 30
ქუთაისამდის	№ 9	9. 50
ქუთაისში ჩადის		6. 00
[illegible]		1. 40
[illegible]		10. 10

თბილისში მოდის		
ბორჯომიდან	№ 20	12. 30
თფილისში მოდის		6. 30
ქუთაისიდან	№ 12	11. 47
თფილისში მოდის		9. 30
ბათუმიდან ჩქარი	№ 6	11. 00
თფილისში მოდის		12. 10
ბათუმიდან	№ 8	3. 55
თფილისში მოდის		7. 44
ფოთიდან	№ 4	8. 27
თფილისში მოდის		7. 45
[illegible]